17
სექტემბერი
კვირა,
1961 წ.
№ 144 (1780)
გამოდის მე-18 წელი.
ფასი 3 კაპ.

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

სპორტული

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირისა და პროფკავშირთა საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО

Орган Союза спортивных обществ и организаций Грузинской ССР и Грузинского республиканского совета профсоюзов

ქუთაისის საზოგადოებრიობა დიდ ინტერესს იჩენს კლასიკური ჭიდაობაში საკავშირო პირველობისადმი, რომელიც იქ ტარდება.

სურათზე: კალათბურთის მოედანი, სადაც მიმდინარეობს შეჯიბრება.

ჰოლანდიაში, მსოფლიო პირველობაზე

დღეს ემენში (ჰოლანდია) საზეიმოდ გაიხსნება მსოფლიო გუნდური პირველობა (ოლიმპიადა) ჭადრაკში ქალთა შორის.

1956 წელს მოსკოვში საერთაშორისო საჭადრაკო ფედერაციამ XXVII კონგრესზე მიიღო გადაწყვეტილება ოთხ წელიწადში ერთხელ გამართოს მსოფლიო გუნდური პირველობა ჭადრაკში ქალთა შორის.

1957 წლის სექტემბრის დამდეგს ემენში გაიხსნა პირველი ოლიმპიადა. შეჯიბრებაზე ჩამოვიდა 21 ქვეყნის გუნდი, მათ შორის საბჭოთა კავშირისა და მსოფლიოს მაშინდელი ჩემპიონის ო. რუბცოვასა და ჩვენი ქვეყნის ჩემპიონის კ. ზვორიკინას შემადგენლობით. ოლიმპიადა გაიმართა ემენის ნეიღონის წინდების ფაბრიკის სასადილოში, რომელიც მეპატრონემ მოჭადრაკეებს დაუთმო.

ბრძოლამ ჩემპიონობისათვის თავიდანვე დააინტერესა საზოგადოებრიობა. სამ ნახევარფინალში გამარჯვებული საბჭოთა კავშირის, საფრანგეთის, ინგლისის, ჰოლანდიის, იუგოსლავიის, რუმინეთის, გდრ-ს, უნგრეთის და გფრ-ს გუნდები ერთმანეთს შეხვდნენ ფინალში. საბჭოთა მოჭადრაკეებმა მოიგეს ოთხი მატჩი და ოთხიც ყაიმით დაამთავრეს. მათ მოაგროვეს 10,5 ქულა. ამდენივე ქულა მოაგროვა რუმინეთის გუნდმაც (ვ. პოგორევიჩი, მ. ტეოდორესკუ). მაგრამ რუმინელებს ერთი შეხვედრა წაგებული ჰქონდათ, ამიტომ ოლიმპიადის ჩემპიონობა მიენიჭა ჩვენი ქვეყნის მოჭადრაკეებს.

მსოფლიო გუნდურ პირველობაში (II ოლიმპიადა) მონაწილეობის სურვილი გამოთქვა 30-მდე ქვეყანამ. არის მნიშვნელოვანი ცვლილებაც. თვითეულ გუნდში ორი მონაწილის გარდა დაშვებულია სათადარიგოც. საბჭოთა კავშირი შეჯიბრებაში წარმოდგენილია კ. ზვორიკინას, ვ. ბორისენკოსა და ნ. გაფრინდაშვილის შემადგენლობით. თვითეული ითამაშებს პარტიების თანაბარ რაოდენობას.

ამას წინათ მოსკოვში ჩატარდა საბჭოთა კავშირისა და პოლონეთის მოძმე არმიების მოცურავეთა შეჯიბრება, სადაც ჩვენი ქვეყნის გუნდმა ლ. ბარბიერის, ლ. კოლესნიკოვის, პ. მორგიჩევისა და ე. მარკელოვის შემადგენლობით კომბინირებულ ესტაფეტაში 4×100 დ-ამყარა ევროპის ახალი რეკორდი — 4.11,2.

* * *

სურათზე: ევროპის რეკორდმენები შეჯიბრების დამთავრების შემდეგ.

ფოტო ვ. ტუტოვისა.

გონელი „პოლიტიკოსები" არ ცხრებიან

ფრანს პრესის სააგენტოს დეპეშა, რომელმაც მთელი მსოფლიო მოიარა, ლაკონური იყო. ჰოლანდიის საგარეო საქმეთა სამინისტრომ,—ეწერა დეპეშაში, — უარი უთხრა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ფეხბურთელებს (ისინი 1 ოქტომბერს ამსტერდამში განმეორებით მატჩში უნდა შეხვდნენ ჰოლანდიის ნაკრებს მსოფლიო ჩემპიონატის ტურნირში) ვიზის მიცემაზე. როგორც ცნობილია, პირველი შეხვედრა გდრ-ში მოეწყო და დამთავრდა ფრედ — 1:1. მაშინ ჰოლანდიელი ფეხბურთელები გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში გულთბილად და მეგობრულად მიიღეს.

მოსალოდნელი იყო, რომ ასეთივე მიღება გამეორდებოდა ჰოლანდიაშიც. მაგრამ თურმე ჰოლანდიის ხელისუფლებს სულ სხვაგვარი წარმოდგენა ჰქონიათ სტუმართმოყვარეობაზე. ამ ქვეყნის გაზეთები და სპორტული საზოგადოებრიობა აღშფოთებით შეხვდნენ თავიანთი ქვეყნის საგარეო საქმეთა სამინისტროს გადაწყვეტილებას. ჰოლანდიის ფეხბურთის ფედერაციის სპეციალურ განცხადებაში პირდაპირ ნათქვამია, რომ ჰოლანდიელ ფეხბურთელებს აიძულებენ უარი თქვან გერმანელებთან შეხვედრაზე. გაზეთები მოაგონებენ მკითხველებს, რომ ჰოლანდიის ხელისუფლები არაერთხელ ცდილან დისკრიმინაცია უყონ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სპორტსმენებს. ჯერ კიდევ გასულ წელს ამ ქვეყნის „პოლიტიკოსებმა" საქვეყნო „აღიარება" მოიპოვეს, როცა მათ თავიანთ ქვეყანაში არ შეუშვეს გროსმაისტერი გდრ-დან ვ. ულმანი, რომელსაც მონაწილეობა უნდა მიეღო ზონალურ ტურნირში.

მაშინდელი ინციდენტის მიზეზი ცნობილი გახდა მას შემდეგ, რაც ჰოლანდიის სახელმწიფო მდივანმა ვან ჰოუტენმა გასული წლის ნოემბერში პარლამენტში განაცხადა, რომ ულმანის ჰოლანდიაში ჩასვლის აკრძალვა მათი ერთ-ერთი მოკავშირის დაჟინებული მოთხოვნის შემდეგ გადაწყდა. ვინ არის ეს მოკავშირე? რასაკვირველია, იგი ბონელი „პოლიტიკოსი", რომელმაც სპორტი გადააქცია „ცივი ომის" იარაღად. მაგრამ მშვიდობის მტრების ყველა ასეთი აქტი განწირულია დასაღუპავად.

თავის დროზე ჰოლანდიის ქალაქ ბერგ ენ დალში მოწყობილ ტურნირში არ მონაწილეობდნენ ულმანი და სოციალისტური ქვეყნების წარმომადგენლები, პირველი ადგილი მოიგო ისლანდიელმა ოლაფსონმა, მეორე ადგილი დაიკავა დასავლეთგერმანელმა მოჭადრაკემ ტეშნერმა. მაგრამ საერთაშორისო საჭადრაკო ფედერაციამ მიიღო სწორი გადაწყვეტილება, როცა მან ახალი ზონალური ტურნირის ჩატარება დანიშნა. დასავლეთ გერმანიის საჭადრაკო გაერთიანებამ უარი თქვა ტეშნერის ამ ტურნირში დაშვებაზე, რადგან ამტკიცებდა, რომ ბერგ ენ დალში მოწყობილი ტურნირის შედეგების მიხედვით ტეშნერმა უკვე მოიპოვა საზონთაშორისო შეჯიბრებაში მონაწილეობის უფლებაო. ახალ ზონალურ ტურნირში, რომელიც ჩატარდა ჩეხოსლოვაკიაში, კვლავ გაიმარჯვა ისლანდიელმა ოლაფსონმა. მეორე ადგილი დაიკავა ჩეხმა მოჭადრაკემ ფილიპმა, მესამე — გროსმაისტერმა ლ. ულმანმა. ეს სამი სპორტსმენი მონაწილეობას მიიღებს საზონთაშორისო ტურნირში.

ბონელი „პოლიტიკოსები" არ დამშვიდდნენ. მას შემდეგ, რაც დასავლეთგერმანულმა „შპორტბუნდმა" მიიღო გადაწყვეტილება გდრ-ს სპორტსმენებთან ბოიკოტის შესახებ, ამ კავშირის თავმჯდომარემ ვ. დაუმემ დაიწყო განსაკუთრებული ენერგიული მოღვაწეობა. როგორც დპა-ს სააგენტო იუწყება, დაუმემ აშკარად მოუწოდა დასავლეთის ყველა ქვეყნებს, მხარი დაუჭირონ დასავლეთგერმანულ „შპორტბუნდს", ჰოლანდიელმა „პოლიტიკოსებმა" არ დააყოვნეს და „სამსახური" გაუწიეს ბონის „ყოვლისშემძლე" ძიებს. მაგრამ ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციამ გამოაცხადა, რომ თუ თამაში ამსტერდამში არ ჩატარდება, მაშინ ჰოლანდიის გუნდი მოიხსნება შესარჩევ ტურნირში მონაწილეობიდან.

მაშ ასე. ბონისა და მისმა ჰოლანდიელმა დამქაშებმა განიცადეს მორიგი ჩავარდნა. „თუმცა ჰოლანდიის მთავრობა, რომელიც ნატოში შედის, — წერს გდრ-ს გაზეთი „ნეიე ცეიტი", — არაფერს ამბობს თავისი მოქმედების მიზეზების შესახებ. საქმის ვითარება სრულიად ნათელია. ამ აფიორის ძაფები მოდის ბონიდან, სადაც სამი კვირის წინათ კანცლერმა ადენაუერმა ბრძანება გასცა შეეწყვიტათ ყოველგვარი სპორტული დამოკიდებულება გდრ-სა და გფრ-ს სახელმწიფოთა შორის.

ა. გურკოვი,
„ნოვოსტის" სააგენტოს სპორტული მიმოხილველი.



ᲒᲐᲗᲐᲛᲐᲨᲔᲑᲘᲡ ᲪᲮᲠᲘᲚᲘ

მდგომარეობა 17 სექტემბრისათვის

I-X ᲐᲯᲒᲘᲚᲔᲑᲘ

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„ᲓᲘᲜᲐᲛᲝ"(კიევი)	23	15	5	3	45—19	35
„ᲢᲝᲠᲞᲔᲓᲝ" (მოსკოვი)	23	16	2	5	52—27	34
ᲪᲡᲙᲐ	23	15	3	5	57—32	33
„ᲡᲞᲐᲠᲢᲐᲙᲘ" (მოსკოვი)	23	13	5	5	47—25	31
„ᲓᲘᲜᲐᲛᲝ" (თბილისი)	23	11	6	6	41—25	28
„ᲚᲝᲙᲝᲛᲝᲢᲘᲕᲘ" (მოსკოვი)	22	10	8	4	40—27	28
„ᲡᲞᲐᲠᲢᲐᲙᲘ" (ერევანი)	23	9	9	5	32—28	27
„ᲐᲕᲐᲜᲒᲐᲠᲓᲘ" (ხარკოვი)	23	10	6	7	22—20	26
„ᲞᲐᲮᲢᲐᲙᲝᲠᲘ" (ტაშკენტი)	22	9	6	7	33—39	24
ᲡᲙᲐ (როსტოვი)	23	9	5	9	41—26	23

* * *

ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘ. 16 სექტემბერი. აქ თამაშობდნენ დედაქალაქის გუნდები „სპარტაკი" და „ლოკომოტივი". შეხვედრა დამთავრდა „სპარტაკის" გამარჯვებით ანგარიშით 4:1.

დავნერგოთ საწარმოო ტანვარჯიში — შრომის ნაყოფიერების საწინდარი

სურათზე: საწარმოო ტანვარჯიში თბილისის საკონდიტრო კომბინატში.

მკითხველთა სიგნალები

არც ბურთი, არც ფორმა

ახმეტის რაიონში სოფელი ქვემო ალვანი მოწინავე სოფელია, მაგრამ სპორტულ მუშაობაში ყველაზე ჩამორჩენილი. აქ ერთ დროს გვყავდა ფეხბურთელთა გუნდი, მაგრამ ახლა უკვე დაშლილია. ამის მიზეზი ისაა, რომ არა გვაქვს ბურთები, ფორმა და, რაც მთავარია, მოედანი. ჩვენთან არიან კარგი ფეხბურთელები ჰ. ჩიღოლელიძე, ვ. ცოცანიძე, გ. ხახონაიძე, ზ. გაფრინდაული და სხვები. ამ ფეხბურთელებს აღნიშნული მიზეზის გამო 1961 წლის სეზონში არც ერთხელ არ უვარჯიშიათ. ქვემო ალვანის საბჭოთა მეურნეობის ხელმძღვანელობა ამ საქმის მოგვარებაზე არ ფიქრობს.

ა. ჩიტოლიძე

ერთმანეთის ცქერაში

— როგორ, შილდას, ამ ლამაზ და დიდ სოფელს, არ უნდა ჰქონდეს ერთი პატარა სტადიონი, რომ ახალგაზრდებმა ფართო გაქანება მისცენ თავიანთ ნიჭს? — აი, ის ძირითადი თემა, რაზედაც ხშირად ლაპარაკობენ ახალგაზრდები შილდაში.

იმის შესახებ, რომ შილდაში არ არის ფეხბურთის სტადიონი, ჩვენს პრესაში უკვე კარგა ხანია გამოქვეყნდა წერილი, მაგრამ მას შედეგი არ მოჰყოლია.

შილდაში ორი დიდი კოლმეურნეობაა. ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის მინდორზე — „კონცხს“ ზემოთ (ასე ეძახიან შილდაში ერთ-ერთ გორას), იყო პატარა ფართობი, სადაც შილდელი ახალგაზრდები თამაშობდნენ ფეხბურთს. მაგრამ კოლმეურნეობამ ეს ე. წ. სტადიონიც გადახნა და ამის შემდეგ უფრო გაძლიერდა შილდელი ახალგაზრდების წუხილი...

ნუთუ არ შეუძლია შილდის ორი ძლიერი კოლმეურნეობის — კუიბიშევის სახელობის და ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობათა გამგეობებს, რომ სტადიონისათვის მიწის ფართობი გამოყონ? კოლმეურნეობები ერთმანეთს ჯიბრს უწევენ: „არა შენ ჩამოუპერი ნაკვეთი, არა შენო...“ საქმე კი არ კეთდება.

გ. გოგინაშვილი

... ...

ჩემპიონი დამარცხებული ტოვებს სარბიელს

ქუთაისი. (ტელეფონით). კლასიკურ მოჭიდავეთა საკავშირო პირველობის მესამე წრეში, მოულოდნელი დამარცხება განიცადა სსრ კავშირის ჩემპიონმა სტაშევიჩმა. მას მანამდე ორი საჯარიმო ქულა ჰქონდა. მიერონოვთან ჭიდაობის დროს მოწინააღმდეგენი პასიურობდნენ, რითაც არაერთხელ იქნენ გაფრთხილებულნი, მაგრამ ამაოდ. მსაჯთა კოლეგიამ ორივე მოჭიდავეს მიაკუთვნა დამარცხება.

ამ წონაში კარგად გამოდის რუსეთი („კოლმეურნე"). მესამე წრეში მან ხუფთად მოუგო ომსკელ ლარიონოვს, ხოლო მეოთხე წრეში ქულებით — პეტრენკოს („ტრუდი") და ორი საჯარიმო ქულით, ოლიმპიური თამაშების პრიზიორ ვირუპაევთან ერთად ჩემპიონობის დიდი შანსები აქვს.

უმჩატეს წონაში საქართველოს მოჭიდავეებიდან ბრძოლას განაგრძობს ქუთაისელი ზ. მირიანოვი („ლოკომოტივი"), თუმცა მეოთხე წრეში ქულებით დამარცხდა დინამოელ რიბალკოსთან. ამ წონაში ჩემპიონობის აღიარებულ პრეტენდენტად დარჩა ა. საიადოვი, რადგან მის კონკურენტებს ბელორუსელ კოჩერგინსა და ბაქოელ აბდულაევს ერთმანეთთან შეხვედრის დროს წაგება მიესაჯათ.





ქვესაშუალო წონაში ჩვენი რესპუბლიკიდან ყველამ დატოვა სარბიელი. აქ ჩემპიონობის საკითხი უნდა გაირკვეს ჩუჩალოვსა („კრ. ზნამია") და ეგოროვს („ლოკომოტივი") შორის.

ქვემძიმე წონაში ბრძოლაში ჩაება 10 მოჭიდავე, მათგან დღეისათვის ჩემპიონობის საუკეთესო შანსებს ინარჩუნებს მხოლოდ სამი — სინაურიძე („განთიადი"), შუროვი („ბურევესტნიკი") და კალინინი („დინამო"). მიუხედავად იმისა, რომ ანისიმოვთან შეხვედრის დროს სინაურიძემ მოწინააღმდეგესთან ერთად წაგება დაიმსახურა პასიურობისათვის.

ნ. გუგუშვილი

შეჯიბრების ახალი წესებით შუალედში მოჭიდავეს ეძლევა მცირე შესვენება. მწვრთნელს შეუძლია გაუწიოს მას კონსულტაცია.

სურათზე: ზევით — სპორტის დამსახურებული ოსტატი ნ. მაზური ჩრ.ევა-დარიგებას აძლევს მოჭიდავეს. ქვევით — შეჯიბრების მომენტი.

ფოტო მ. ზარგარიანისა.

ჩემპიონატი გრძელდება

კიშინიოვში გრძელდება ჩვენი ქვეყნის 1961 წლის ჩემპიონატი კალათბურთელ ქალთა გუნდებს შორის. პირველობის საკითხს ალბათ გადაწყვეტს ორი ლიდერის — რიგის ტრანვაი-ტროლეიბუსების ტრესტისა და ლენინგრადის სკა-ს მატჩი, ჯერჯერობით უპირატესობა რიგელი კალათბურთელების მხარეზეა, რადგან ისინი ერთი ქულით წინ არიან უახლოეს მეტოქეზე. თუ კი ლენინგრადელ არმიელებს „ბედმა" გაუღიმა და მათ გადამწყვეტი შეხვედრა მოიგეს (ეს მატჩი გაიმართება ჩემპიონატის უკანასკნელ დღეს), მაშინ დაინიშნება დამატებითი თამაში უძლიერესის გამოსავლინებლად. მესამე საპრიზო ადგილისათვის სამი გუნდი იბრძვის. ესენი არიან ტარტუს უნივერსიტეტი, მოსკოვის „ტრუდი" და ლენინგრადის „ბურევესტნიკი". უკანასკნელ ადგილებზე პრეტენზიას „აცხადებენ" ლენინგრადის სკიფი, თბილისის „პოლიტექნიკი" და მოსკოვის „დინამო".

აღსანიშნავია, რომ გათამაშებაში ძალზე სუსტად გამოდიან თბილისელი კალათბურთელები, რომლებიც ერთ დროს ჩვენი ქვეყნის წამყვანი გუნდების საშიში მოწინააღმდეგეები იყვნენ. ჩვენი დედაქალაქის ქალთა გუნდი, რომელმაც მხოლოდ ორი გამარჯვება მოიპოვა, ისიც ერთ გუნდთან — მოსკოვის „დინამოსთან", ამჟამად ორი ქულით გათამაშების ცხრილში ბოლოდან მეორე ადგილზე იმყოფება. თუ კი ყოველწლიურად იცვლება ჩვენი ქვეყნის უძლიერეს ქალთა გუნდების შემადგენლობა, სარბიელს ტოვებენ ვეტერანები, მოდიან ახალგაზრდა კალათბურთელები, რომლებიც ძირითად შემადგენლობებში მტკიცედ იკავებენ ადგილს, ჩვენს გუნდში ასე არ არის. იგი წლების განმავლობაში თითქმის ერთნაირი შემადგენლობით თამაშობს, გუნდის „ვეტერანები" წინსვლის ნაცვლად ერთ ადგილს ტკეპნიან და შედეგიც სავალალოა, ხომ არ არის დრო გადავხედოთ თბილისის „პოლიტექნიკის" გუნდის შემადგენლობას, გადავახალისოთ იგი, შევავსოთ ახალგაზრდა, მზარდი კალათბურთელებით?

ცნობები ბელგრადიდან

არც თუ დიდი დრო დარჩა მძლეოსანთა ევროპის პირველობის გახსნამდე, მაგრამ ბელგრადის მძლეოსნობის მესვეურები დროს არ კარგავენ ღონისძიების სანიმუშოდ ჩატარებისათვის. განსაკუთრებით ყურადღების ცენტრში დგას სტადიონისა და საცწოვრებელი ბინების მოწყობა.

იუგოსლავიის სახალხო არმიის სტადიონი რეკონსტრუირებულია ისე, რომ ახლა აქ ყველა პირობაა შექმნილი სპორტსმენებისა და მაყურებლებისათვის. მწვავედ იდგა ინვენტარის საკითხი, განსაკუთრებით ფოტოფინიშისა და ზუსტი წამმზომებისა. ამ ხარვეზის დასაძლევად ბელგრადში რამდენიმე ხანს დაჰყო შვეიცარიის ფირმა „ომეგას" წარმომადგენელმა ჩ. სიკერტმა, რომელიც ესწრებოდა წამმზომების გამოცდას და ინსტრუქტაჟს აძლევდა მსაჯებს ამ ახალი ინვენტარის გამოყენების საქმეში, ხელმძღვანელობდა ფოტოფინიშის კამერის დადგმას.

სტადიონზე ყველაფერი გაკეთდა პრესის მუშაკებისათვის. მათ განკარგულებაში იქნება ცალკე ტრიბუნა, ბუფეტი, ტელეფონის 50 ჯიხური, ტელეფოტოს 4 გამგზავნი პუნქტი და სხვ.

ჩემპიონატის დღეებში შეჯიბრების მონაწილე სპორტსმენთა ვარჯიშების ნორმალური პირობების შესაქმნელად ცენტრალური სტადიონის მეზობლად მოეწყობა საწვრთნელი სტადიონი, ორივე ბაზა ერთმანეთთან დაკავშირებული იქნება სპეციალური მისასვლელით.

შეჯიბრების ორგანიზატორთა ცდის შედეგად ბელგრადის სტადიონი უკვე ბევრად ჯობს „ნეიდორფისა" (ბერლინ) და „დედოფლის სტადიონს" (სტოკჰოლმი), რომლებზეც 1954 და 1958 წლებში ჩატარდა ევროპის ჩემპიონატი.

მონაწილეთათვის მოეწყობა სპეციალური ქალაქი ერთ-ორ სართულიანი კოტეჯებით, სამ-ოთხ სართულიანი სახლებით, აქვეა საწვრთნელი სტადიონიც.

ამას წინათ მუშაობა დაამთავრა საორგანიზაციო კომიტეტის წევრთა და სპეციალისტთაგან შედგენილმა განსაკუთრებულმა კომისიამ, რომელმაც გაზომა და დაამტკიცა მარათონული რბენისა და სპორტული სიარულის დისტანციები. სწორედ ამ ტრასაზე ამ დღეებში ჩატარდება ბალკანეთის XX თამაშების პროგრამით გათვალისწინებული შეხვედრები. მარათონული რბენის სტარტი და ფინიში იუგოსლავიის სახალხო სტადიონზეა. იგი გადის ავტოკომანდის, ტუცოვიჩის, ტერაზიოს მოედნებზე, რევოლუციისა და სმედერევის გზატკეცილზე და ბრუნდება უკან, ხოლო სპორტული სიარულის ტრასა იწყება სტადიონიდან და გაიდ-პარკისა და დედინის ბულვარის გავლით ბრუნდება უკან.

საორგანიზაციო კომიტეტმა თხოვნით მიმართა საერთაშორისო ფედერაციას, ერთი კვირით გადმოწიოთ ჩემპიონატის გახსნის დღე, მაგრამ იმის გამო, რომ ყველა ქვეყანას უკვე დადგენილი აქვს ნაციონალური ჩემპიონატების ჩატარების ვადები, IAAF-ის ევროპის კომიტეტმა უარი უთხრა ევროპის პირველობის ორგანიზატორებს ვადების შეცვლაზე. ამრიგად, ევროპის VII პირველობა ჩატარდება 1962 წლის 12-16 სექტემბერს.

მოსპოვსა და სტალინგრადს ეწვევიან

ერთიანი ბრიგადა

იაპონელი ფრენბურთელები

როგორც უკვე ვიუწყებოდით, პრაღის საიუბილეო ტურნირში საბჭოთა კავშირის ფრენბურთელთა ნაკრებმა წაუგებლად ჩაატარა შეჯიბრება და I ადგილი მოიპოვა. დამთავრდა შეჯიბრება ქალთა გუნდებს შორისაც, რომელშიც საბჭოთა ფრენბურთელი ქალები მონაწილეობას არ იღებდნენ. ქალთა შორის თავიდანვე დაწინაურდნენ იაპონიისა და ჩეხოსლოვაკიის ნაკრები გუნდები. შეჯიბრების ბოლო დღეს ერთმანეთს სწორედ ეს ორი ლიდერი შეხვდა. იაპონელმა ქალებმა საუკეთესოდ ჩაატარეს მატჩი და მოიგეს იგი ანგარიშით 3:2. ჩეხოსლოვაკიის გუნდი II ადგილს დასჯერდა.

იაპონელი ფრენბურთელი ქალები დიდი ხანი არაა, რაც მსოფლიო სპორტულ სარბიელზე გამოჩნდნენ, მაგრამ მათ უკვე უძლიერეს ფრენბურთელთა სახელი მოიპოვეს. გასულ წელს, ბრაზილიაში, ფრენბურთელთა მსოფლიო ჩემპიონატზე, იაპონიის ქალთა ნაკრებმა ვერცხლის მედლები მოიპოვა. მას შემდეგ მათი თამაშის კლასი კიდევ უფრო ამაღლდა, რომელზეც ამას წინათ რუმინეთში ჩატარებული ტურნე და ჩეხოსლოვაკიის საიუბილეო ტურნირში გამარჯვებაც მეტყველებს. ჩეხოსლოვაკიასა და რუმინეთში იაპონელ ქალებს არც ერთი წაგება არ განუცდიათ. სამშობლოში გზად მიმავალი იაპონელი ფრენბურთელები ეწვევიან მოსკოვს, სადაც ორ-ორ საერთაშორისო შეხვედრას ჩაატარებენ, შემდეგ კი ეწვევიან სტალინგრადს.

ლელო

მე-3 გვ. № 144 (1780)

გათამაშების ცხრილები

მდგომარეობა 17 სექტემბრისათვის

მოკავშირე რესპუბლიკათა I ზონა

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„ლოკომოტივი" (თბილისი)	25	17	5	3	51—20	39
„შირაკი" (ლენინაკანი)	25	15	7	3	50—19	37
„ლორი" (კიროვაკანი)	26	13	6	7	34—22	32
„დინამო" (ბათუმი)	25	9	11	5	32—25	29
„ხიმიკი" (მოგილიოვი)	24	11	7	6	37—31	29
„ორბა" (სოხუმი)	25	11	4	10	39—30	26
რეზ-ი (რიგა)	25	10	6	9	43—35	26
„ლოკომოტივი" (გომელი)	24	10	6	8	30—23	26
„კრ. ზნამია" (ვიტებსკი)	24	8	7	9	34—38	23
ძ. ბობრუისკი	24	6	9	9	23—32	21
სკფ (ტალინი)	25	7	6	12	28—41	20
„ბანგა" (კაუნასი)	24	8	3	13	24—33	19
„პიშჩევიკი" (ტირასპოლი)	24	8	3	13	29—44	19
„ნისტრული" (ბენდერი)	26	6	7	13	28—49	19
„ხელმაში" (ლიეპაია)	26	4	9	13	27—43	17
„სპარტაკი" (ბრესტი)	24	4	4	16	16—39	12

მოკავშირე რესპუბლიკათა II ზონა

„შახტიორი" (ყარაგანდა)	24	15	6	3	55—18	36
„ტორპედო" (ქუთაისი)	23	17	1	5	42—18	35
„ნაირი" (ერევანი)	23	12	5	6	51—36	29
„მეტალურგი" (რუსთავი)	22	12	5	5	39—28	29
„პოპეტ-დაგი" (აშხაბადი)	24	12	4	8	43—35	28
„ტექსტილშჩიკი" (კიროვაბადი)	24	12	3	9	35—36	27
„მეტალურგი" (ჩიმკენტი)	24	9	7	8	46—42	25
„ალგა" (ფრუნზე)	25	10	4	11	41—42	24
„ენერგეტიკი" (სტალინაბადი)	24	9	5	10	36—29	23
„სტარტი" (ტაშკენტი)	23	9	3	11	27—33	21
„ტემპი" (სუმგაითი)	22	8	4	10	28—33	20
„პამირი" (ლენინაბადი)	26	8	4	14	35—45	20
„სპარტაკი" (ბაქო)	18	7	2	9	20—25	16
„მეტალისტი" (ჯამბული)	25	5	6	14	24—46	16
„დინამო" (სამარყანდი)	25	5	6	14	30—66	16
„სპარტაკი" (ფერგანა)	24	4	4	16	33—48	12

ლოგოდ ვაკლეკილ!

ჩვენი გაზეთის მკითხველები ზ. რჩეულიშვილი, ნ. ტიტვინიძე გვთხოვენ მოვუთხროთ ლივერპულის სტიპლ-ჩეზის შესახებ.

თუ კი პორდუბიცის (ჩეხოსლოვაკია) დიდი სტიპლ-ჩეზი „ჯოჯოხეთურ დისტანციად“ მონათლეს ჟურნალისტებმა, ძაშინ რაღა უნდა ეწოდოს ლივერპულის სტიპლ-ჩეზს, სადაც შეჯიბრების უფრო რთული პირობები არსებობს.

... სახელგანთქმული იპოდრომი ეინტრი. ლივერპულის დიდი სტიპლ-ჩეზი—„გრანდ ნაციონალე“. ეს უძველესი, ყველაზე განთქმული, ძნელი და პოპულარული შეჯიბრება „გრანდ ნაციონალე“ ყოველწლიურად თამაშდება. იგი პირველად ჩატარდა 1837 წელს და არ გამართულა მხოლოდ პირველი და მეორე მსოფლიო ომების წლებში. 7218 მეტრი დისტანციის გასვლისას მხედრებმა უნდა გადალახონ 30 რთული წინაღობა. ყველაზე სახიფათო წინაღობაა „ბიჩერს ბრუკი“, რომელიც მხედრებმა ორჯერ უნდა დაძლიონ—ერთი შეჯიბრების დაწყებისას და შემდეგ მისი დამთავრებისას, როცა ცხენები გადაღლილი არიან და სუნთქვაც კი უჭირთ. პირველ წინაღობებზე გადავლება ძალზე ძნელია, რადგან მასზე შტურმი მიაქვს ერთდროულად 30-მდე მხედარს.

მაგალითად, 1928 წლის შეჯიბრებაზე „ჯანალ ტურნის“ (პირველი წინაღობა) ლაძლევისას 42 მონაწილიდან 20-მა მარცხი განიცადა და ფინიშთან მივიდა მხოლოდ 2 ცხენი, რომელთაგან ერთი უმხედრო იყო.

ლივერპულის სტიპლ-ჩეზის შეჯიბრებით მისი ორგანიზატორები დიდ მოგებას იღებენ. ამ უტოლფასი რეფერენდიანი ბილეთი ღირს 10 გირვანქა სტერლინგი. გამარჯვებულთათვის დაწესებულია ფასიანი ჯილდო 15-20 ათასი გირვანქა სტერლინგი იზიდავს მსოფლიოს თითქმის ყველა სახელგანთქმულ მხედარს, ათიათასობით მაყურებელს, რომლებიც გაბმული არიან მრავალ ტოტალიზატორთა მახეში.

1957 წელს „გრანდ ნაციონალეს“ პრიზის გათამაშებაში მონაწილეობდა ინგლისის დედოფალიც, რომელმაც თურმე თვალცრემლიანმა დატოვა ეინტრის იპოდრომი. დედოფალს ამისათვის ყველა საფუძველი ჰქონდა. მისი ჟოკეიდიკ ფრენსისი პირველი მიდიოდა უკანასკნელ წინაღობამდე, მაგრამ იმის მაგივრად, რომ დედოფალი ჯილდოს მოპოვებით გაეხარებინა, იძულებული იყო საავადმყოფოში „გამგზავრებულიყო“. ქვემოთ მოყვანილ სურათებზე ნაჩვენებია ლივერპულის სტიპლ-ჩეზის მომენტები.





სამხრეთ ამერიკის ფედერაცია იუწყება

ცნობილია, თუ როგორი დიდი პოპულარობით სარგებლობს სამხრეთ ამერიკის ჩემპიონატები, რომლებიც ყოველ ორ წელიწადში ერთხელ ტარდება. ამ შეჯიბრებებში ბრაზილიელებმა ვერ იქნა და ვერ სძლიეს არგენტინელებს, რომლებმაც გაიმარჯვეს 1957-59 წლებშიც, რომ არაფერი ვთქვათ ადრინდელ წარმატებებზე.

სამხრეთ ამერიკის ფეხბურთის ფედერაციამ მორიგი ჩემპიონატის ჩატარება ბოლივიას მიანდო, მაგრამ როგორც ახლახან გახდა ცნობილი, ბოლივიამ ვერ შეძლო ამ შეჯიბრების ჩატარება. სამხრეთ ამერიკის ფეხბურთის ფედერაციამ თავის კონგრესზე ბარანკვილში (კოლუმბია) ტურნირის ჩატარება დაავალა ჩილის. როგორც ფედერაციის აღმასკომი იუწყება, ეს ტურნირი დაიწყება მომდინარე წლის დეკემბერში.

მომავალი ტურნირი დიდ ინტერესს იწვევს, რადგან მან უნდა ცხადყოს სამხრეთ ამერიკელთა მომზადების დონე მსოფლიო ჩემპიონატის წინ. აქ ითამაშებენ ბრაზილიის, არგენტინის, ურუგვაის, პარაგვაის, ჩილის, პერუს, ბოლივიის, კოლუმბიისა და ეკვადორის გუნდები. როგორც ყოველთვის, პირველი ადგილის ძირითად პრეტენდენტად ითვლება „სამი გუნდი“ — ბრაზილია, არგენტინა და ურუგვაი, თუმცა, მიმომხილველთა ცნობით, ძალზე კარგადაა მომზადებული ჩილის გუნდი. თავის სიტყვას იტყვიან პარაგვაელებიც. კოლუმბიის გუნდი, რომელსაც ადრე არავინ აგდებდა სათვალავში, უურადღებას იპყრობს არა მარტო თავისი ენერგიით, არამედ მაღალტექნიკური თამაშითაც. ასე რომ სამხრეთ ამერიკის ჩემპიონატი მეტად თვალსაჩინო შეჯიბრება იქნება, იგი ევროპელ სპეციალისტთა დიდ ყურადღებას იპყრობს.

ჩემპიონი მარცხს განიცდის

როგორც მკითხველებს კარგად ახსოვთ, ინგლისის შარშანდელ ჩემპიონატში ზედიზედ 11 გამარჯვება მოიპოვა ლონდონის „ტოტენჰემ ჰოტსპურმა“, რომელსაც მოგვიანებით პირველი ადგილი დარჩა. წელს მდგომარეობა სრულიად შეიცვალა. თუ ჩემპიონატის მეორე პრიზიორი „შეფილდ უენსდეი“ კვლავ სტაბილურად თამაშობს, ამას ვერ ვიტყვით ჩემპიონზე.

უკვე სტარტზე „ტოტენჰემმა“ ორი შეხვედრა ფრედ დაამთავრა და წააგო „ვესტჰამთან“ (ლონდონი) — 1:2. მეხუთე ტურში ჩემპიონმა თავის მოედანზე მიიღო „კარდიფ სიტი“. თამაშის პირველი ნახევარი მოიგეს კარდიფელებმა— 2:0. მეორე ტაიმი დაიწყო „ტოტენჰემის“ მძლავრი იერიშით. მალე პირველი საპასუხო ბურთი საჯარიმო დარტყმიდან გაიტანა „ტოტენჰემის“ კაპიტანმა ბლენჩფლაუერმა. ამას მარჯვენა გარემარბ ჯონსის გარღვევა მოყვა და ანგარიში გათანაბრდა. მატჩის დამთავრებამდე ორი წუთი იყო დარჩენილი, როდესაც „ტოტენჰემის“ ცენტრფორვარდმა სმიტმა მესამე ბურთიც გაიტანა და ძნელი გამარჯვება მოუტანა თავის გუნდს, ამ მოგების მიუხედავად შარშანდელი ჩემპიონი გათამაშების ცხრილში მხოლოდ მეექვსე ადგილზეა.

მეხუთე ტურამდე პირველ ადგილზე იყო „მანჩესტერ სიტი“, მაგრამ ამ დღეს მან მარცხი განიცადა თავის მოედანზე ინგლისის ყოფილ ჩემპიონ „ბერნლეისთან“ (1:3).

აი მეხუთე ტურის დანარჩენ შეხვედრათა შედეგები: „ბირმინჰამ სიტი“-„ლეისტერ სიტი“ — 1:5, „ლეკბერნ როვერსი“ - „ვულვერჰემპტონ უონდერერსი“ — 2:1, „ბლეკპული“ - „მანჩესტერ იუნაიტედი“ — 2:3, „ბოლტონ უონდერერსი“ - „არსენალი“ — 2:1, „ჩელსი“ - „ფულჰემი“ — 0:0, „ეევერტონი“ - „შეფილდ უენსდეი“ — 0:4 „შეფილდ იუნაიტედი“ — „ასტონ ვილა“—0:2, „ვესტ ბრომვიჩ ალბიონი“ — „იპსვიკ ტაუნი“ — 1:3 „ვესტ ჰამ იუნაიტედი“ — „ნოტინჰემ ფორესტი“ — 3:2.

ამრიგად, ხუთი ტურის შემდეგ რვა-რვა ქულით ინგლისის ჩემპიონატს ლიდერობენ „შეფილდ უენსდეი“ და „მანჩესტერ სიტი“.

რედაქტორი ი. უგულავა.

24 სექტემბრიდან იწყება თბილისის თასის გათამაშება ფეხბურთში ორი ასაკის ჭაბუკთა გუნდებისათვის.

საორგანიზაციო თათბირი და კენჭისყრა მოეწყობა 21 სექტემბერს, 18 საათზე, თბილისის სპორტკავშირში.

თბილისის ფეხბურთის სექცია.

„ბურევესტნიკის“ სტადიონი

დღეს!

ფიზკულტურის ინსტიტუტი (თბილისი)- „ზვეზდა“ (ყიზილ-არვათი) თასის გათამაშება ძირეულ კოლექტივებს შორის

დასაწყისი 16 ს. 30 წ.

• • •

ვ. ი. ლენინის სახელობის სპორტული დარბაზი

17—18 სექტემბერი

აკრობატიკა

საქართველოს პირველობა

დასაწყისი დილის 11, საღ. 18 ს.

• • •

„ბურევესტნიკის“ სტადიონი

20—23 სექტემბერი

მძლეოსნობა

საქართველოს პირველობა

დასაწყისი დილის 11, საღ. 17 ს.



20—21 სექტემბერი

საერთაშორისო შეხვედრა

რუმინეთი—საქართველო

შეხვედრების დასაწყისი: 20 სექტემბერს 20 ს. 30 წ. 21 სექტემბერს 19 ს. 30 წ.

ევროპის ჩემპიონთა თასზე

სოფიის ცდნა-სა და პრაღის „დუკლას“ პირველი შეხვედრა, რომელიც სოფიაში ჩატარდა, დამთავრდა ფრედ — 4:4. ბულგარელი ფეხბურთელები ცდილობდნენ ფრესათვის მიეღწიათ განმეორებით მატჩში, რათა შემდეგ დამატებით შეხვედრაში მოეპოვებინათ გადამწყვეტი უპირატესობა. პირველი გოლი გაიტანეს ბულგარელებმა, მაგრამ 53-ე წუთზე „დუკლას“ მარცხენა შუამარბმა კუჩერიმ 25 მეტრიდან ზუსტად გაგზავნა ბურთი კარში. შემდეგ ამავე გუნდის მარჯვენა მცველმა შაფრანეკმა 35 მეტრიდან დარტყმული საჯარიმოთი ანგარიში 2:1-მდე აიყვანა. „დუკლა“ გავიდა გათამაშების მეორე წრეში.

მოულოდნელად, გამანადგურებელი ანგარიშით წააგო შვეიცის „გეტებორგმა“ როტერდამში „ფეიენორდთან“ — 2:8, რადგან ჰოლანდიელებს მოგებული ჰქონდათ წინა შეხვედრაც, ისინი განაგრძობენ ბრძოლას ევროპის ჩემპიონთა თასისათვის.

უფრო დიდი ანგარიში იქნა ფიქსირებული დანიაში, სადაც ამ ქვეყნის ჩემპიონმა „ოდენზემ“ მიიღო ლუქსემბურგის „სპორა“ და დაამარცხა იგი ანგარიშით 9:2, „ოდენზეც“ განაგრძობს ბრძოლას თასისათვის.

თავის უფალი ჭიდაობა

გაზეთი გამოდის სამშაბათობით, ოთხშაბათობით, ხუთშაბათობით, შაბათობითა და კვირაობით. რედაქციის მისამართი: თბილისი, ელბაქიძის დაღმართი № 12.
დეპეშებისათვის—თბილისი, „ლელო“. ტელეფონები: რედაქტორის — 8-89-62, პასუხისმგებელი მდივნისა და განყოფილებების — 8-90-34, გამომშვების — 3-01-06.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, თბილისი, ლენინის ქ. № 14. უე 05246